



ევროკავშირი და საქართველო

#StrongerTogether

2022 წლის ივლისი



ევროკავშირმა და საქართველომ ასოცირების შესახებ შეთანხმებას ხელი 2014 წელს მოაწერეს. შეთანხმება პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველს წარმოადგენს.

ამ ურთიერთობიდან მიღებულ მთავარ სარგებელთა შორისაა **დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)**, რომელიც საქართველოს ბიზნესსა და პროდუქტებს ევროკავშირის ბაზარს უხსნის და საქართველოს მოსახლეობის უვიზო მიმოსვლა შენგენის სივრცეში, რაც ძალაში 2017 წლის 28 მარტიდან შევიდა.

2022 წლის 3 მარტს საქართველომ ევროკავშირის წევრობაზე შეიტანა განაცხადი.

2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიამ თავისი მოსაზრება გამოაქვეყნა.

2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ გაითვალისწინა ევროკომისიის მოსაზრება და საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიანიჭა. ევროკავშირი მზად არის, საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი იმ პრიორიტეტული მოთხოვნების შესრულებისთანავე მისცეს, რომლებიც ევროკომისიამ საქართველოს გაწევრიანების განაცხადის განხილვის შედეგად განსაზღვრა.

სამეზობლოს, განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტი – გლობალური ევროკა (NDICI) ევროკავშირის საგარეო პარტნიორებთან, მათ შორის საქართველოსთან თანამშრომლობის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტია. ევროკავშირი საქართველოს უდიდესი დონორია. ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის 2021-2024 წლებისთვის განკუთვნილი გრანტების მოცულობა **340 მილიონ ევრომდეა**. ამ დახმარებას სხვა რეგიონული თუ თემატური პროგრამები და სესხებისა და გარანტიების სახით გაცემული დაფინანსებაც დაემატება.

ეკონომიკური და საინვესტიციო გზა

ევროკავშირი კონკრეტული ინვესტიციებით უჭერს მხარს საქართველოს, რათა დაჩქარდეს პოსტპანდემური აღდგენა და გაუმჯობესდეს საქართველოს მოქალაქეების ცხოვრება. უახლოეს წლებში ევროკავშირი ინვესტიციებს შემდეგ **საფლაგმანო პროექტებში** განახორციელებს:



სანდო ინტერნეტი შავი ზღვის მონაცემთა კაბელის და ელექტროკაბელის საშუალებით



80,000 მცირე და საშუალო საწარმოს მხარდაჭერა



მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი 1,000 სასოფლო თემისთვის



საბორნე კავშირები შავ ზღვაში



სუფთა ჰაერი და ენერგოეფექტიანობა 1 მილიონი ადამიანისთვის

2017 წელს ვიზალიბერალიზაციის შემოღების შემდეგ, საქართველოს 680,000-ზე მეტმა მოქალაქემ ევროკავშირში ვიზის გარეშე თითქმის 1.5 მილიონჯერ იმოგზაურა.

ევროკავშირი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია, რომლის წილმა ვაჭრობის მთლიან მოცულობაში 2021 წელს 21% შეადგინა.



ევროკავშირი განაგრძობს **საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერას** მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ეს მხარდაჭერა მოიცავს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის (EUSR) ძალისხმევას, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) საქმიანობასა და ევროპის სამშვიდობო მექანიზმის დახმარებას (**12.75 მილიონი ევრო**) საქართველოს თავდაცვის ძალების სამედიცინო, საინჟინრო და ლოგისტიკის ქვედანაყოფების გასადიერებლად.



ევროკომისია: ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/ukraine | twitter.com/eu_near
 ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური: eeas.europa.eu/delegations/ukraine | twitter.com/eu_eeas

